ზურაბ კიკნაძე

სად ვეძიოთ ქართველობის ფასეულობანი?

მრავალსახეობა ერთობისა

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი სიტყვები "უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერკახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს "ქართველი", დღემდე მოქმედებს. ანალოგიურ პასუხებს მივიღებდით უფრო ადრეც, საუკუნეებში - გორგასლის, მირიანის, ფარნავაზის ხანაში. და იქნებ ასე ავიდეთ ქართლოსის ხანამდე. ვინაიდან ვერ დავადასტურებთ ეპოქას, როცა ხალხი, ეთნიური ერთობა მეტ-ნაკლები ინტენსივობით დიფერენცირებული არ ყოფილიყო. მართალია, "ქართველის" განმაზოგადებელი მნიშვნელობა გვიანდელი წარმოშობისაა, ეს არ აუქმებს საქმის ანალოგიურ ვითარებას შორეული ეპოქებისთვის. იმ აქტუალურ ხანაში "ქართველი" ნიშნავდა "ქართლის" ჰეგემონიას, რომ მას ჰქონდა მოწოდება ეროვნულ-კულტურული ერთობის სახელმდებელი ყოფილიყო. მაგრამ სხვა ეპოქაში სხვა რომელიმე ტომს ექნებოდა ჰეგემონია და მისი სახელით იქნებოდა აღნიშნული ერთობა. ისტორიკოსები ეძებენ ძველ უცხოენოვან წყაროებში ასეთ სახელებს.

გასაგებია ისტორიულად რომელიმე ტომის აღზევება, მაგრამ როგორ იბადება ერთობა, რომელსაც ეს ტომი ჩაუდგება სათავეში? რომელია პირველადი - ეს ერთობა თუ დანაწილება? ისტორიულ მეცნიერებას ვერ მიუგნია ამ რეალურად განცდადი ერთობის იმაზე უკეთესი ახსნისათვის, ვიდრე ეპონიმის უნივერსალურად გავრცელებული იდეაა. ამ იდეის თანახმად, ერთობას მის საფუძველში განასხეულებს საერთო წინაპარი, რეალური პიროვნების სახით, სახელის მატარებელი ეთნარქი, რომლის ხსოვნა თაობებში ეროვნული ერთიანობის გარანტად რჩება. თუნდაც არ ჰქონდეს მას რეალური არსებობა, მისი სახელი რჩება თაობებში ეროვნული იდენტიფიკაციის ძირითად საყრდენად. მოგვიანო ეპოქებში ის სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ისტორია მოგვითხრობს, რომ ქართლოსის ძეთა შორის შუღლის პერიოდებშიც არ იყო დავიწყებული მამამთავრის სახელი: "უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი". (ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ სპარსი მირიანი საქართველოში მეფობას იწყებს ყოველივე ქართულის - ენის, რელიგიის შეყვარებით, რისი სიმბოლური გამოხატულება ფარნავაზის საფლავის შემკობაა: "და შეამკო საფლავი ფარნავაზისი"). სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებული იქნებოდა ტომობრივი სახე ქართლოსიანთა, ისტორიის თვალსაწიერში დაიკარგნენ ტომები, რომელთაგან სახელებიღა შემორჩა ისტორიულ ხსოვნას (კლარჯნი, ტაოხნი, აფხაზნი, სომეხნი...), მაგრამ რჩება მრავალტომობრივი სახე და იგი, როგორც ხალხის სხეულსა და სულზე ღრმად დაჭდეული ბეჭედი, წარუშლელია. ეს არის ქართველობის არსებობის ფორმა თაობიდან თაობამდე - ერთი ბუნების მრავალსახეობა.

იმ ქრესტომათიული სიტყვებით ვახუშტი აცნობიერებს ჯერ ცალკეულთა ("მესხთა", "იმერთა", "ჰერკახთა") სიმრავლეს; მერე ამოდის ცალკეულიდან და ადის მთლიანობისკენ, ერთისკენ, რომელსაც ეზიარებიან ეს ცალკეულნი, მრავალნი (პროკლე დიადოხოსი პეტრიწით: "ყოველი სიმრავლე ეზიარების რაითავე ერთსა"). მაგრამ არსებობს სხვაგვარი მიდგომაც, რაც დღესაც აქტუალურია ქართულ ყოფაში. თუ ამოვალთ მთლიანობიდან და შევეკითხებით ქართველს, და ეს კითხვა ბუნებრივია ყოველი ქართველისთვის, რომელი ტომისა ხარ, მოგვიგებს: "მესხი", ან "იმერი", ან "კახელი", ან "გურული" და ა.შ. ამ შეკითხვის სიღრმისეული აზრი ის არის, რომ ქართველი წინასწარ მომზადებულია მოისმინოს კონკრეტული პასუხი, გაიგოს კითხულისგან რომელიმე ტომის სახელი, რომელსაც უცილობლად უნდა ეკუთვნოდეს, თუ ის ნამდვილად ქართველია. შემკითხველი ვერ წარმოიდგენს, რომ ქართველი ადამიანი ტომის გარეშე იდგეს. რომელიმე ტომისადმი მიუკუთვნელობა ეთნიკური

ანომალიაა ქართველობის სინამდვილეში. შეიძლება ტომობრივი კუთვნილება დავიწყებას მიეცეს ხანგრძლივი ურბანიზაციის ან სხვა რამ მიზეზით, თუმცა პრინციპულად შეიძლება მისი აღდგენა. მაგრამ წარმოუდგენელია მისი არარსებობა. ყოველი ქართველი, ქართველობის წევრი, დაკავშირებულია რომელიმე ტომთან თავისი გვარით. გვარი ამხელს მის სუბეთნიკურ წარმოშობას და კუთვნილებას.

როცა ქართველობის ტომობრივ აღნაგობაზე ვფიქრობთ, გვაგონდება პავლე მოციქულის სიტყვები ადამიანის სხეულისა და მის ასოთა ურთიერთობის შესახებ. ქრისტეს ეკლესიისა და მის წევრთა ურთიერთობის ურთულეს პრობლემას მოციქული ყველასათვის ნაცნობი რეალიებით განმარტავს. სხეულისა და მის ასოთა ურთიერთობის ბიოლოგიური საფეხური მისტიური სინამდვილის ასახსნელად არის მოწოდებული. და ვინ იტყვის, რომ ეს ანალოგია შემთხვევითია?

"ვითარცა-იგი გვამი (სხეული) ერთ არს და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გვამისა; მრავალღა თუ არს, ერთ გვამვე არს... და გვამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ... ხოლო უკუეთუმცა იყო ყოველი ერთ ასო, სადამცა იყო გვამი იგი? ხოლო აწ მრავალ არს ასოები და ერთ - გვამი" (1კორ.12:12,14,19,20).

მოციქული ლაპარაკობს სხეულის დასაბამიერ მთლიანობაზე და ასოთა ერთმანეთისგან განსხვავებულობაზე. განსხვავებული ასონი ქმნიან სხეულს. სხვაგვარი არსებობა სხეულს არცა აქვს. თუ ასონი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, როგორ შეადგენენ ისინი ერთიან სხეულს? "ყველა რომ ერთი ასო იყოს, სადღა იქნება სხეული"? კითხულობს მოციქული. მოციქული კიდევ ლაპარაკობს თითოეული ასოს აუცილებელ

საჭიროებაზე

და

მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე ერთიან სხეულში. ცხადია, მოციქული მიანიშნებს ერთზე - ქრისტეს სხეულის მრავალ განსხვავებულ წევრზე და თითოეული მათგანის ფუნქციაზე ამ მთლიანობაში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია (ამის ძალას გვაძლევს ღვთიური ანალოგია, რომელიც იერარქიულად მსჭვალავს ჩვენს სამყაროს), ეს ფორმულა სხვა სუბსტანციით გავაშინაარსოთ. როცა გვესმის სიტყვები "რათა არ იყოს განხეთქილება სხეულში, არამედ ყველა ასო ერთნაირად ზრუნავდეს სხვაზე" (1კორ.12:25), არ გვენიშნება ტომობრივი დანაწილება, რომელიც უხსოვრობიდან დაჰყვა ქართველობას და გასდევს მთელი ისტორიის მანძილზე? და თუ ჩავყვებით მოციქულის დასკვნებს, უთუოდ გვეცნაურება შორეული თუ ახლო წარსულის განსაცდელნი: "და თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება. ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს" (12:26).

ხშირად გავიგონებთ: როდის დავივიწყებთ ტომობრივობას და ვიქნებით, როგორც სხვა ხალხები არიან? მაგრამ ვინც ასე სვამს კითხვას, ნუთუ ინატრებს ერის სხეულის გამარტივებას მისი განსხვავებული ნაწილების ერთმანეთში გათქვეფით, მხოლოდ იმისათვის, რომ ეს მთელი, ეს ერთობა ადვილად სამართავი იყოს? გვსურს გადავაყოლოთ კუთხური პარტიკულარიზმის ამაო შიშს ეს მრავალფეროვნება ეროვნული ხედვისა. გვავიწყდება, რომ ერი ამ კუთხეებმა შექმნეს ერთიან სხეულად და ამით განასახიერეს ერთიანი კაცობრიობის ხატი. მაშ, ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან, მონოტომური და, ამ მიზეზით, მონოტონური, რაკი ეს ეთნიკური მყუდროების გარანტიას იძლევა?

ეს კუთხურობა, რომელიც, თუ ცალმხრივად შევხედავთ, ოდიოზურად ჟღერს, ეს კუთხური ინდივიდუალიზმი, რომელიც შეიძლება მოჩვენებით დაპირისპირებას ქმნიდეს, ერის მეტაფიზიკური რეალობის რაღაც თვისებას აფენს ფიზიკურ სინამდვილეში. ეს რეალობები აწონასწორებს ერის სხეულს. აძლევს მას არა მხოლოდ მრავალფეროვნებას სივრცულ განფენილობაში, არამედ სიღრმესაც.

რა ფუნქციის მატარებელია იგი? რა არის მისი სიღრმისეული კულტურულ-ისტორიოსოფიული საზრისი. თუ შეგვიძლია გავიგოთ ეს საზრისი?

თითოეული კუთხე ისტორიის მანძილზე საკუთარ გამოცდილებას იძენს და ამით ამდიდრებს ერთობას, თავისი წვლილით მონაწილეობს მასში. ერთობა ირღვევა, მაგრამ ყოველი კუთხე მეტნაკლებად ინარჩუნებს ერთობის კულტურულ ელიტურობას და საკუთარ სულიერ-ყოფით თავისთავადურობას, არისტოკრატიზმს. ერთობის სული ცოცხლობს თითოეულ მათგანში.

მაგრამ ერის სული, როგორც მეტაფიზიკური ბირთვი, მთელი სისავსით არც ერთ ტომში არ არის მოცემული. სად არის ეს ბირთვი, როგორია მისი არსებობა. ვინ

წვდება მას? ან როგორ წვდება, თუკი წვდება? თუ უმუშავია ამ მიმართულებით ჩვენს ისტორიულ აზრს?

ასე დამკვიდრდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში: შეისწავლება კუთხეთა ანუ სამთავროთა პოლიტიკური ისტორია იმ ხანიდან, როცა იწყება ერთიანი საქართველოს დაშლა და, ბუნებრივია, მახვილი ეცემა ფეოდალურ პარტიკულარიზმს, კუთხურ სეპარატიზმს, რომლის აჩრდილი დღემდე აწევს ქართველის ეჭვებით დამფრთხალ ცნობიერებას. აქედან მოდის მობოდიშებითი ლაპარაკი კუთხურობაზე.

მაგრამ საბოდიშო აქ არაფერია. იმ პარტიკულარიზმს, რომელიც შესაძლებელი იყო ფეოდალურ ხანაში და დღეს საფუძველი არა აქვს, შეგვიძლია ავაშოროთ უარყოფითი აურა და დადებითი მნიშვნელობა მივანიჭოთ. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კიცხვით იმაზე, თუ როგორ მიისწრაფოდა ნაწილი მთელად გახდომისკენ, ანუ ერთი კუთხე როგორ იქმნებოდა დამოუკიდებელი სამთავროდ. მაგრამ ეს უარყოფითი მოვლენა ამხელს კუთხის დაფარულ პოტენციას, რომლის რეალიზაცია ხდება ძნელბედობის ხანაში, როცა ერთი პატრონი ანუ ცენტრალური ხელისუფლება აღარ ჩანს. კუთხე ამ პარტიკულარიზმით გადაირჩენს თავს, რაც თავისთავად მთლიანი საქართველოს მომავალი გადარჩენის (აღორძინების) საწინდარია. მთლიანობისთვის დაკარგული ძალა ეუფლება ნაწილს, ნაწილში იმ ძალის წილია, რამაც თავის დროზე ნაწილები გააერთიანა. კუთხეს სურს იყოს ცენტრი. კუთხე იტვირთება ცენტრის პოტენციით და პოულობს რეალიზაციას. ასეთი პერიოდები ახსოვს საქართველოს ისტორიას. კუთხეებიდან დაწყებულა აღორძინებანი. კუთხე გამხდარა ერთიანი სახელმწიფოს დვრიტა.

ერთხელ ითქვა და დღემდე გაისმის მძიმე საყვედური და ქოქოლა "უჩემოდ ვინ იმღერეთას" მთქმელთა მიმართ, მაგრამ არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ ამ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეს დადებითი აზრი. მართლაც, რატომ უნდა მღეროდეს ვინმე სხვის გარეშე, მთელი - რომელიმე ნაწილის გარეშე? ამ სიტყვებში შეიძლება გავიგონოთ მთლიანობიდან გარიყულის სასოწარკვეთილი ხმა. შეიძლება არსებობდეს ლტოლვა გამოცალკევებისკენ, მაგრამ ეს არის მარტოდ დარჩენილის ლტოლვა, რომ დამოუკიდებლად მოაწყოს თავისი ცხოვრება, რათა გადარჩეს. ობლობა

ქართველობა ობოლი მოდგმაა, ობოლ ენაზე ლაპარაკობს, ობოლი ანბანით წარს, რასაც წერს. ობოლია, მაგრამ მრავალი ხალხით გარსშემორტყმული. "და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა". თუ ტომობრიობა თავად მასში მისი ობლობის კომპენსაცია იყო, ეს უცხოთა სიმრავლე მის გვერდით კონტრასტულად წარმოაჩენდა მას.

ვართ ობლები და, თითქოს ბუნებრივია, რომ ვეძებდეთ და ვეძებთ კიდეც ნათესავს და მონათესავე ენას ძველ (შუმერები) და ახალ (ბასკები) მსოფლიოში. რისთვის ვეძებთ ნათესავს? ჩვენ გვსურს ვიყოთ, როგორც ყველა სხვა ხალხი, რომელნიც გაერთიანებული არიან დიდ ენობრივ ოჯახებად. გვსურს მოვძებნოთ ოჯახი შორეულ წარსულში თუ თანამედროვეობაში, და სული მოვითქვათ ამდენი ხნის მარტოობისგან? მაგრამ უნათესაობა, ობლობა ხომ უნიკალურობის ნიშანია, რაზედაც არ ვამბობთ უარს? უნიკალურობას ჩვენ ვერ "ვიჭერთ", ვერ ვაქცევთ ცნებაში, ვერც მსჯელობაში. ჩვენ გამოვხატავთ მას თავად ჩვენი არსებობით, ცოცხალი თვითგანცდით. ობლობა მისი უშუალო გამოხატულებაა, მისი სახელდებაა. ობოლი თავისი ობლობით მოწმობს თავის უნიკალურობას, როგორც ქართული ამბავი მოწმობს ქართული ენის უნიკალურობას, როგორც მოწმობს ნესტანდარეჯანის განუმეორებლობას მისი სპარსული სახელი "ნესთ ანდარე ჯეჰან" - "არ არის ქვეყანაზე (მისი მსგავსი)". ჩვენ კი ვეძებთ მსგავსს. მაგრამ მსგავსი არ იპოვება არა იმ მიზეზით, რომ არ არსებობს საკმარისი ისტორიული წყაროები, არამედ - რომ ეს არ არის არქეოლოგიური პრობლემა. ის ამოუხსნადია თავისი ბუნებით. პრინციპულად ამოუცნობია. ასეთია ობლობის საიდუმლო. ამაზე წერდა ბარათაშვილი თავის დროზე. ნათელი ბნელში

რა არის კიდევ ქართველობის, მისი კულტურის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ნაკლიც შეიძლება იყოს და, თუ ღრმად ჩავხედავთ, ღირსებაც და, აქედან გამომდინარე, ისტორიული ფასეულობა?

ეს არის კულტურშემოქმედებითი პროცესის წყვეტილობა. გენიათა სპორადული და მოულოდნელი გამოჩენა. რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ფიროსმანაშვილი, გალაკტიონი... მათი გენია გაუგებარია ზედაპირული ისტორიული ევოლუციის ფონზე. რა უძღვოდა წინ "ვეფხისტყაოსანს"? ან რა კანონზომიერებით შეიქმნა "დავითიანი" ე.წ. აღორძინებისა თუ ქართულენოვანი სპარსული პოეზიის შემდეგ? "მერანი", რომელიც ამოწმებს მისი ავტორის უტოპიურობას საკუთარ

სამშობლოში და წუთისოფელში, რას აგრძელებს უშუალოდ და რას ეუბნება თავის თანამედროვეთ? იქნებ ის მხოლოდ მომავალს ელაპარაკება. ფიროსმანი? "იგი აბსოლუტურად მარტო, მეცენატებისა და დამნახველების გარეშე, სიღატაკეში და უსახლკარობაში ქმნის ისეთ მხატვრულ დონეს, რომლის მიღწევაც იმ ხანებში მხოლოდ პარიზში შეიძლებოდა" (თემო ჯაფარიძე). შეიძლება ამ ფრაზის გაშლა, განსაკუთრებით, ცნებისა - "იმ ხანებში", როგორც მუდმივი აწმყოსი, რომელიც ყოველთვის მარტოობას ქმნის მისთვის გაუგებარი შემოქმედის თუ პიროვნების გარშემო. მარტოობა მათი ეკსისტენციალური ნიშანია, რომელსაც ობიექტურ სინამდვილეში ის სახე აქვს, რასაც "ველური სიმარტოვე" ეწოდა (თ.ჯაფარიძე). ასეთი "ველური სიმარტოვე" ერტყა გარს გალაკტიონს ჩვენს დროში და რუსთაველსაც "იმ ხანებში" და მის შემდეგაც. ბარათაშვილის ხმით იქნა მხილებული არა მხოლოდ ადამიანური ეკსისტენციალური ობლობა, არამედ ონტოლოგიურიც, რადგან ეს მისი ხალხის ნიშანიც იყო. ამ მხილების ხმა გაისმა რუსთველის პოემაშიც, თუმცა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა "ოქროს ხანად" წოდებულ "იმ ხანებში". ისტორიამ დაადასტურა "ვეფხისტყაოსნის" ავტორის ობლობა და სრული გაუგებრობა შემდგომი ისტორიის მთელს მანძილზე.

იშვიათია კულტურა, რომელსაც რამდენიმე საუკუნის დუმილი, მარტოობა ჰქონდეს. უზარმაზარი სიცარიელე, ბნელი ღიობი, როგორც ხარვეზი არქეოლოგიურ კულტურულ ფენებს შორის, ბერწი საუკუნეები რუსთველის ეპოქის შემდეგ ე.წ. აღორძინების ხანამდე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო შემოქმედებითი ჩავარდნის საუკუნეები თუ "ინკუბაციის" პერიოდი, რაღაც ახლის "გამოსაჩეკად"? ისევე, როგორც "სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა" სამყაროს შექმნამდე? როგორც არ უნდა შევხედოთ მას, ის მაინც ნიშანია, რომელიც რაღაც რეალობას ამხელს. ეს ღრმული და დუმილი არსებობს ჩვენს ისტორიაში. ეს ჩვენი ისტორიაა, ჩვენი კულტურის სახეა.